ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №5

ქ.ლანჩხუთი **17.08.2020 წელი**
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **ვერიკო კვირკველია.**

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახა ასკურავა.
სხდომის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ,** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი -0
დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის

N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ,** მან აღნიშნა, რომ მომზადებულია საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს შესაბამისად. სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს ემატება „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელით-განყოფილების უფროსი და მესამე რანგის პირველი კატეგორიის 4 ერთეული უფროსი სპეციალისტით.

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და მისი დაფინანსება შესაძლებელია სახელფასო ფონდის ფარგლებში.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ითხოვა, რომ შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგინონ შესწორებული ცხრილი ხელფასებთან დაკავშირებით

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-3

წინააღმდეგი – 0

კომისიამ მომზადებულად ცნო საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ვერიკო კვირკველია**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №5

ქ.ლანჩხუთი 17.08.2020 წელი

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

დასკვნა:

კომისიამ მომზადებულად ცნო საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

17.08.2020 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	12.00	
2	კახა ბოლქვაძე	11:57	
3	გოდერძი ქურიძე	11 55	
4	კახაბერ ასკურავა		